

N14, 06/03/2018

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნულ პლატფორმას

ევროკავშირთან 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების მე-15 მუხლი ეძღვნება თანამშრომლობას მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის სამუშაო ვარიანტში ჩვენ ვერ ვნახეთ ამ მუხლის მე-2 პუნქტის "c" ქვეპუნქტის შესრულების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები, რომლის მიხედვით ქვეყანას აქვს ვალდებულება, ყურადღება გამახვილდეს შემდეგ ასპექტებზე:

„(c) პირთა მიღების (ადმისიის) წესები და მიღებულ პირთა უფლებები და სტატუსი, კანონიერად მცხოვრებ არამოქალაქეთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა და ინტეგრაცია, განათლება და ტრენინგი; და რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები“.

ჩვენ ვთვლით, რომ შეთანხმების ამ პუნქტის შესრულების მიმართულებით ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება ძალზე აქტუალურია. ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარება იზიდავს მიგრანტებს (სტუდენტებს, ინვესტორებსა და მუშებს) აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან, რომელთა რაოდენობა იმდენად დიდი არაა (მოსახლეობის 1%-მდე), რომ ზემოქმედება მოახდინოს დემოგრაფიულ სურათზე, როგორც ეს იხატება გავრცელებული მითებით, თუმცა თვალშისაცემია. მეორე მხრივ, ჩატარებული კვლევებით, ქართულ საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს იმიგრანტების რაოდენობის ზრდის მიმართ და მომხრეა, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდეს. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, იმიგრანტები სამუშაო ადგილებს ართმევენ ადგილობრივებს და ეკონომიკურ სფეროში კონკურენციას უწევენ მათ. უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ იმიგრანტებს ისეთივე უფლებები მიენიჭოთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ამდენად, საზოგადოება იმიგრანტებს საფრთხედ აღიქვამს ეკონომიკისა და დემოგრაფიის სფეროში და ამ საკითხებში ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებებს მათ მიმართ.


აღსანიშნავია, რომ რუსეთის ოკუპანტურ ინტერესებშია შექმნას მუდმივი დამაბულობის კერები, შესაბამისად, კრემლის ღია თუ ფარული პროპაგანდა მომართულია იმაზე, რომ მოსახლეობის განწყობები, რადიკალური ნაციონალისტური ჯგუფების მეშვეობით, გადაზარდოს უმცირესობების, აზიური წარმოშობის იმიგრანტების, მეზობელი ერებისა და ევროპის მიმართ მტრულ გამოვლინებებში. ამის გამოხატულებაა 2017 წლის ივლისში გამართული ულტრანაციონალისტთა აქცია "ქართველთა მარში", იმიგრანტების მიმართ აგრესიული და აშკარა ქსენოფობიური ლოზუნგებით, მარშის ორგანიზატორთა შემდგომი ქმედებები და, ასევე, რიგი პოლიტიკური თუ

საზოგადოებრივი სახის ორგანიზაციების მიერ ქსენოფობიური და, ზოგჯერ, რასისტული ხასიათის განცხადებებისა და ინფორმაციების გამუდმებული გავრცელება მედიასა და სოცქსელებში, რაც იმიგრანტების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების გაზრდას იწვევს.

იმიგრაციის სფეროში ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულების შემთხვევაში ბოლო წლებში გაჩაღებული ულტრანაციონალისტური პროპაგანდა ვერ უნდა ემუქრებოდეს ქვეყნისათვის ტრადიციულ ტოლერანტობის ღირებულებებს. ამკარაა, რომ სახელმწიფოს საპასუხო ქმედებები არ არის საკმარისად ეფექტური ამ ტალღის შესაჩერებლად. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ჰარმონიული განვითარება, ადამიანთა თანასწორობის ღირებულებების საფუძველზე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ეფექტური ღონისძიებები ასოცირების შეთანხმების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის “c” ქვეპუნქტის შესრულების მიმართულებით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას ვთხოვთ, ეს საკითხი დასვას იმიგრაციის სამთავრობო კომისიაში წარმოდგენილი შესაბამისი უწყებების წინაშე და მოითხოვოს მათგან ოფიციალური პასუხი ჩვენს მოსაზრებაზე.

პატივისცემით,



გიორგი აბულაძე,

თავმჯდომარე

Our mission: Green Caucasus is an environmental and human rights protection non-governmental organization, which considers that society should have legal guarantees and adequate resources to participate in the decision making process which affects on the living environment and quality of life. Any strategy and actions of the authorities should be planned only on the basis of full participation of society, including women and minorities. This is possible only in conditions of existing democratic institutions, free media and an active civil awareness of the population. We are eager to be contributor to the development of democracy, civil engagement and social inclusion.